

© სარგის კავაბაძე ⑤

47039
39109


თ ა მ ა რ მ ი ვ ი

დ ၁

ასეი მნიუზნელობა საქართველოს ისტორიაში.

ლექცია, წაკითხული ტფილისში 5 თებერვალს 1912 წ.

63842



ტ ვ 0 ლ 0 6 0

მლექტრო-მბეჭდავი სტამბა პ. მ. ძერესელიძისა, გრიბოედოვის ქ. № 34
1912

თამარ შეფერა მისი მნიშვნელობა

საქართველოს ისტორიაზი

(ღვევია, წაკითხები ტფილისში 5 თებერვალს 1912 წელს).

ქალბატონებო და ბატონებო!

როდესაც თამარის სახეს ვითვალისწინებ, მე მაგონ-
 დება ერთი მშენებელი ლეგენდა, რომელიც ჩინებულად გვიხა-
 სიათებს ქართველ ხალხის სიყვარულს, გულის სიღრმეზდის
 აღბეჭდილ სიყვარულს თამარ მეფისადმი.

ამ ლეგენდით, თამარი აქამდისაც არ მომკვდარა, ის ახ-
 ლაც ასვენია ოქროს კუბოში, სადღაც მთებში, მიყრუებულ გა-
 მოქაბულში საუკუნებრივ ძილით შეპყრობილი. მაგრამ მოვა-
 დრო, ის გაიღვიძებს, გააღებს თავისი გამოქვაბულის კარებს და
 მაშინ დადგება დღე საქართველოს ბენინერებისა, დღე ქართ-
 ველი ხალხის განახლებისა. ამ ლეგენდიდან ცხადია ის დიადი
 მნიშვნელობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა და
 აქვს თამარ მეფეს ქართველ ერის ისტორიაში. თამარი არის
 ის პირი, რომლის სახელი ზენაარ შერავანდედით მოსილი,
 ლამაზ და გონების წარმტაც ლეგენდებით შემკული, საუკუნე-
 ების განმავლობაში იქცის და იდიდების ქართველ ხალხის
 მიერ. თამარი ჩვენი ხალხის წარმოდგენით ჩვეულებრივი ისტო-
 როული პიროვნება როდი არის, ის არის გაღმერთებული პი-
 როვნება, უკვდავებით მოსილი. მაგრამ რატომ არის თამარი
 უკვდავებით მოსილი? რა ხასიათისა იყო ის როლი, რომელიც
 ისტორიამ აკუთვნა დიდ თამარ მეფეს საქართველოს ბედის ჩა-
 რხის ტრიალში? ამ საკითხის გარჩევა არც ისე ძლიერი,
 როგორც ეს ერთის შეხედვით შეიძლება კაცმა იფრქოს, და
 ამისი მიზეზია ის გარემოება, რომ ჩვენ, ქართველებს, ჩვენდა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
გიგანტითავა

K 264.492
3



სამარტვინოდ და სამწუხაროდ, არა გვაქვს მეცნიერული კულტურული მეცნიერებების სამარტვინო მისამართი. ამით აიხსნება, რომ უდიდესი მნიშვნელობის საკითხები ჩვენთვის გამოურკვეველი და გადაუწყვეტელი რჩება. ამ თვით თამარიც. საუკუნეების განმავლობაში მისი სახელი ყოველ ქართველს პირზედ აკერია, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვით ამ ერის სათაყვანო მეფის შესახებ ან არაფერი დაწერილა და ან თუ დაწერილა ფრიად უხეირო და არა სერიოზული. მე მაინც ვეცდები მოკლედ და გაკვრით გაგაცნოთ თამარის ეპოქა საქართველოს ცხოვრებაში კრიტიკულად შესწავლილ და მეცნიერულად აწონილ ფაქტების მხრივ.

თამარი იყო, როგორც ცნობილია, ასული გიორგი მეფისა, მაგრამ არა ერთად-ერთი. როგორც ერთ ცნობიდან, სხანს, მის ჰყოლია და, რომლის სახელი არაა მოხსენებული. მაშასადამე, თამარი ყოფილა უფროსი ქალიშვილი თავისი მამისა. მამის სიკვდილის შემდეგ ის შეიქნა ერთად-ერთი მემკვიდრე საქართველოს ტახტისა. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოს მოსაზღვრე სელჯუკიდების (თურქთა) იმპერია დაქუცმაცდა, პატია-პარარა სამთავროებად დაიყო. საქართველოს მოსაზღვრედ ამ დროს დიდი სახელმწიფო არ იყო და ამით აიხსნება, რომ ქართველ ხალხის ძლიერება ჰქონდა მთელს აღმოსავლეთში. ლამაზი, ჰაეროვანი სიმშვერიერით მოსილი თამარ, მემკვიდრე ძლიერი საქართველოს სამეფოსი, მრავალთ უცხო ხელმწიფეთა შვილთა სანუკარო საგნად გახდა. უცხო ქვეყნების ბატონიშვილები მრავალ და ძვირფას საჩუქრების მოვლინებით სცდილობდნენ თამარის გულის მოგებას მისი ცოლად შესართავად, მაგრამ არა მარტო საქართველოს საზღვარ-გარედ იყო თამარი სათაყვანო საგნად გამხდარი, აქ, საქართველოში, მთელი გუნდი მეხოტეთა და მგო-სანთა იუღერებს თავისს ჩანგს თამარის სახელის საღისებროად. მე ვერ შევძლებ თამარის პიროვნების გამოხატვას ისე, რომ თქვენთვის რამოდენადმე მაინც ცხად ვყო ის ღვთაებრივი თაყვანის ცემა, რომელსაც იწვევდა თანამედროვეთა შორის.



თამარ დედოფალი. სკობია ისევ ავალაპარაკო
 მე XII საუკუნის მცოსანი ჩახრეხაძე, რომელიც ის როგორ
 გვიხასიათებს მას:

თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარჩარი, პირმცინარი,
 მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი,
 მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მთქნარი, უჩინარი,
 ვარდ შამბ-ნარი, შამბ-მაღნარი, ლაწვ-მწყაზარი, შუქ-მუინარი.

საკვირველი სილამაზე თამარ-მეფისა იყო მიზეზი, რომ მი-
 სი ახალ-გაზდობა სავსე იყო რომანიულ ფაქტებით. მემატიანე
 დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ თამარის სიყვარუ-
 ლით გაჭრით და გახელებით გამიჯნურებულნი უცხო-მაჭა-
 დიან ხელმწიფეთა ბატონიშვილნი სცდილობდნენ მისი გულის
 მოგებას. ოსთა ბატონიშვილმა ვერც კი გაუქლო უმიედო
 სიყვარულს და ჯავრით გარდაიცვალა. ძლიერი და მომხიბლავი
 იყო თამარი როგორც ქალი. მაშმადიანი, ბერძენი და ოსთა
 ბატონიშვილნი მისი მიჯნურობით გახელებულნი ჰყუა გონე-
 ბას ჰკარგავდენ და მისი სიყვარულისათვის მზად იყვნენ ენაც-
 ვლებინათ სამშობლოუა და რჯულიც, მაგრამ ჩვენთვის რასა-
 კვირელია, უფრო საინტერესოა გავითვალისწინოთ ის პოლიტი-
 კური ფარგალი, რომელშიდაც უხდებოდა მოღვაწეობა თამარ-
 მეფეს. მაშინ ჩვენ შევსძლებთ სწორედ და უტყუვრად დავა-
 ხსიათოთ თამარ-მეფის მნიშვნელობა ქართველ ერის ისტო-
 რიაში. მაშინ ჩვენ მივაგნებთ იმ რეალურ საფუძველს, რომელ-
 ზედაც არის დამყარებული დიდება თამარისა და განუსაზღვრე-
 ლი სიყვარული მისადმი ქართველ ხალხის გულში.

მე XII საუკუნე დიდებული ხანა იყო საქართველოს
 ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა შესძლო თავისი წინა-
 პრების მიღრეკილების შესაფერისად დაგვირგვინება და მთელი
 ერის ტერიტორიის ერთი სკიპტრის მფლობელობის ქვეშ გაე-
 რთიანება. ის სამეფობი, რომელთაგან შესდგებოდა ქართველ-
 ების სამფლობელო, იყვნენ: აფხაზეთის სამეფო, რომელსაც ეჭირა

მთელი ახლანდელი დასავლეთი საქართველო, ტაოკლარჯეთის სამეფო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ქართლის საერი-სთვო და კახეთის სამეფო. დავით აღმაშენებელმა დამთავრა ამ სახელმწიფოების გაერთიანება კახეთის სამეფოს დაპყრობით და დანარჩენ საქართველოსთან შემოერთებით. მანვე დაუმორჩილა საქართველოს ტახტს სომხითის სამეფო, რომელსაც ეჭი-რა ახლანდელი ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი, ლორე თავისი მიმდგომი ადგილებით. თუმცა ამ გვარად საქართველოს გაერთიანების საქმე გარეგნულად მე XII საუკუნის დასაწყი-სშივე დამთავრდა დავით აღმაშენებელის დროს, მაგრამ შინა-ური კონსოლიდაცია ქართველ ტომებისა ჯერ კიდევ შორს იყო.

საქართველოს შემადგენელ ნაწილებს—აფხაზეთის სამე-ფოს, ტაოკლარჯეთის სამეფოს, ქართლის საერისთვოს, კახე-თისა და სომხითის სამეფოებს—ჰქონდათ თავისი ავტონომიური მართვა-გამგეობა, რომელიც პოულობდა თავისს დამცველს და ბა-ირალტარს ადგილობრივ ფეოდალურ ელემენტებს შორის. თუ კი ერთის მხრივ ტფილისის ბაგრატიონები სცდილობდენ ცენ-ტრალისტური მართველობით პროვინციებში მოეკლიათ სეპარა-ტისტული მიდრეკილება—და ეს მიდრეკილება კი ყველგან დიდი იყო—მეორეს მხრივ მსხვილი ფეოდალები—დიდ-გვარი-ანი დიდებულები—ყოველის ძალ-ღონით სცდილობდნენ მთა-ვრობისათვის ხელი. შეეშალათ. ამით აისწნება ის გამწვავებუ-ლი ბრძოლა საქართველოს მეფეთა და ფეოდალებს შორის, რომელიც ატეხილი იყო მთელ სიგრძეზედ მე XII საუკუნი-სა. მაგრამ ეს ბრძოლა ბაგრატიონებისათვის არც ისე ადვი-ლი იყო, რადგან თვით სამეფო ტახტს მძლავრად ჰქონდა გა-დგმული ფესვი სწორედ იმ ფეოდალურ ელემენტებს შორის, რომელისაც ახლა ის სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა. საქა-რთველოში სამეფო უფლება სწორედ ფეოდალურმა წესწყო-ბილებამ წარმოშობა და ამიტომაც აფხაზეთის—ე. ი. დასავლეთ საქართველოს დიდგვარიან დიდებულოთ ბაგრატიონების ტახტ-

თან განსაკუთრებული კავშირი ჰქონდათ. მე XII საუკუნის
 მეფის გვირგვინის კურთხევის წესი ჩინებულად გვიხასიათებს,
 თუ რა ღვაწლი ჰქონდა კერძოდ აფხაზეთის დიდებულთა წო-
 დებას საქართველოს ტახტის წინაშე. მეფის კურთხევის დროს
 გვირგვინის დადგმის უფლება ჰქონია არა საქართველოს კა-
 თალიკოზს, არამედ ქუთათელ მთავარ-ეპისკოპოზს, ხოლო
 გვირგვინის შემდეგ ოთხი იმერეთის დიდებული, ერისთავი რა-
 ჭისა და ლეჩხუმისა, ვარდანისძე, სალირისძე, და ამანელისძე,
 მოილებდა სამეფო ხმალს და შემოარტყამდა ახლად გვირგვი-
 ნოსნად ყოფილ მეფეს. ასეთი განსაკუთრებული უფლება და-
 სავლ. საქართველოს ფეოდალთა ადვილი გასაგებია, რაღაც
 სწორედ დასავლეთ საქართველოდან — აფხაზეთის სამეფოდან —
 დაიწყო გაერთიანება საქართველოს სამეფოსი. სანამდი დიდე-
 ბულნი მეფისათვის საჭირო იყვნენ, მათ მოახერხეს სხვა და
 სხვა პრივილეგიების მოპოვება, მაგრამ ა მეფე გაძლიერდა,
 მაგ დაიპყრო ამიერ კავკასიის უდიდესი ნაწილი, მისი ძლევა-მო-
 სილი მხედრობა შეს ჰგვრიდა გარეშე მტრებს და ში-
 ნაურ მტრებსაც ზარსა სცემდა. დიდებულნი უნდობლად უყუ-
 რებდენ ბაგრატიონთა ძლიერებას და ღელავდენ. ბაგრატიო-
 ნი სცდილობდენ მთელი ქართველი ერის ცხოვრება ერთ სა-
 ერთო კალაპოტში მოექციათ და შინაური ერთობა დაემყარე-
 ბინათ, დიდებულნი კი მაგრად ჩასჭიდებოდენ პროვინციალურ
 ავტონომიას და ყველა იმას, რაც მათ მოაგონებდათ წინანდელ
 დაქუცმაცებას რამდენიმე სამეფოდ. დინასტია სცდილობდა ტო-
 მობრივ პარტიკულარიზმის მოსპობას, დიდებულთა წოდება კი
 ამ პარტიკულარიზმის გაღრმავებას.

ეროვნულ თვალსაზრისით სამეფო გვარეულობა მდ დროს
 ასრულებდა დიადს დანიშნულებას ქართველტომების გაერ-
 თიანებისას როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად და
 ამ თავისს დიად დანიშნულებას ის ასრულებდა უცხო ძალების
 დახმარებით. მთელს სიგრძეზედ მე XII საუკუნისა საქართვე-
 ლოს მეფეებს ჰყავდათ მუდამ დაქირავებული ძლიერი ყივჩა-

ღთა რაზმი. ამ ყივჩალთა ჯარის დახმარებით დიდებულნი და-
 მარცხდენ ისე საშინლად, რომ გიორგიმ, თამარის მამამ, ქართ-
 ველნი დიდებულნი გამოდევნა უპირველეს ხელისუფალთა ად-
 გილებიდან. გიორგის დროს, მაგალითად, მანდატურთ-უცუ-
 ცესის და ამირ-სპასალარის თანამდებობა ეჭირა ყუბა-
 სარს, ყივჩალთა რაზმის უფროსს, მაშასადამე ტომით
 უცხოს. მსახურთ უხუცესად ითვლებოდა შთამომავლო-
 ბით მდაბით პირთაგანი, გიორგი მეფის მიერ განდი-
 დებული. მართლაც დიდი უნდა ყოფილიყო უნდობლობა
 მთავრობისა ფერდალურ ელემენტებისადმი, თუ კი მთავრო-
 ბა დიდებულთ არ უშვებდა სამეფოს ცენტრალურ გამგეობის
 საქმეში და ნაცვლად ამისა აწინაურებდა უცხო ტომის პირთ,
 უგვარო და მდაბით შთამომავლობისას. საქართველოს დიდე-
 ბულნი აღშფოთებულნი შესკეროდნენ თავისს დამცირებას.
 ხან, და ხან საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში ასტყდებოდა
 ძლიერი აჯანყება, მაგრამ მთავრობა სცდილობდა მყისეე მისს
 ჩაქრობას. ცეცხლითა და მახვილითა. ცნობილია, მაგალითად,
 ორბელიანთა აჯანყება, რომელიც გიორგიმ, თამარის მამამ, ჩა-
 იქრო გასაცარი სისასტიკით, თითქმის მთელი გვარეულო-
 ბის ამოწყვეტით.

დიდებულნი მხოლოდ მარჯვე დროს უცდიდნენ, რომ
 სამეფო ტახტისათვის ანგარიში მოეთხოვათ ამდენი დევნისა
 და ტანჯვისათვის და ეს მარჯვე დროც დადგა, როდესაც
 მიიცვალა გიორგი მეფე და მის მაგივრად ტახტზედ დაჯდა
 მისი ასული თამარი. აი ახლა მათ დაუდგათ მარჯვე ქამი, რა-
 დგან ძლიერი მამაკაცის მაგერ ტახტზედ იჯდა ახალგაზრდა,
 გამოუცდელი და სუსტი არსება. გვირგვინის კურთხევის გა-
 თავებისთანავე საქართველოს დიდებულთ შეფიცეს ერთმანეთს
 და წარუდგინეს მთავრობას თავისი მოთხოვნილება: „აღარ
 ვეგებით ძველთა ხელის უფალთა და განმგებელთა
 საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნი, ვინათვან ზათვან
 დაძურულნი და უპატიოდ დასულნი ვართ და ჩვენ გვა-

რიანნი და თვით მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახოდ განსულ ვართ უგვაროთა და უხამთაგან.“ დიდებულთა წილებამ ისე ერთსულოვანად და მოულოდნელად წამოყო თავი, რომ მთავრობას თავზარი დაეცა. თამარის ბრძანებით დიდებულთა მოთხოვნილება შესრულებულ იქმნა. უპირველესი ხელისუფალნი გიორგი მეფისა, უცხო ტომისანი ან უგვარონი, დათხოვნილ იქნენ და მათ მაგივრად უნდა დანიშნულიყვნენ ქართველთ დიდებულთა წარმომადგენელნი. ამ პირველმა და სწრაფმა გამარჯვებამ ფერდალები გაათამამა. რაკი მთავრობის სისუსტე დამტკიცდა, მათთვის ეს ახლა ცოტა იყო. მათ მოინდომეს სამეფო უფლების შეზღუდვა. მათი მიზანი იყო თვითმპყრობელ მეფის უფლების მაგიერ დაემყარებინათ საქართველოში ფერდალურ დიდებულთა მართვა-გამგეობა, ამ აზრით ყუთლუარსლანზა — დიდებულთა ბელადმა — წარუდგინა თამარ მეფეს ახალი მოთხოვნილება: „ვითხოვთ დადგმას კარავისა ველსა ისანისასა, სანახებსა საგოდებლისასა. მუნ შიგან თავისუფლებით მსხდომარენი, რათა მივცემდეთ (ბრძანებას) და მოვიდებდეთ, რომელთამე ვრისხავდეთ და რომელთამე ვწყალობდეთ. ამას ესრულ ვაკერებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა და მაშინდა სრულ იქნებოდეს განგებულება ჩვენი“. ახლა კი თამარი შეფიქრიანდა. მისი წინაპარების ცდა — საქართველოს გაერთიანებისა და სამეფო ტახტის განმტკიცებისა, მთელი ნაყოფი ამ ცდისა — ძლიერი უფლება საქართველოს მეფისა — განსაცდელში იყო. თამარს არ შეეძლო რაიმე პასუხი მიეცა აჯანყებულ დიდებულთათვის — ეს იქნებოდა თავისი თავის დამცირება, ეს იქნებოდა დაქინება მისი დიდებუნებოვან წინაპრების ხსოვნისა. დინასტიის ინტერესები და ამავე დროს სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა ენერგიულ ზომას კადნიერ დიდებულთა ასალაგმავად. თამარმა ბრძანა, პასუხის გაუცემლად ყუთლუარსლანი — ბელადი აჯანყებულებისა — მექურჭლეთ უხუცესი — დაეპატიმრებინათ. დიდებულნი გააფირდნენ. ქნეს ახალი პირი და ფიცი და

თავისი ჯარით შემოერტყნენ ისანის ციხე დარბაზს თვით თამარის შესაპყრობლად. როგორც თვით თამარის, ისე ბაგრატიონთა დინასტიის ბედი ბეწვებედ ეკიდა. დიდებულთ მაინც ვერ მოახერხეს ისანის ციხის აღება — ისინი დამარცხდენ. თამარმა არჩია საქმის გამწვავებას მორიდებოდა. თამარმა და დიდებულთ ერთმანეთს შერიგების პირი მისცეს და ქვეყანაც დროებით დაწყნარდა. ამ გვარად დიდებულნი გარეგნულად მაინც დამარცხდენ, მაგრამ მის აჯანყებას მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა თამარის მომავალ პოლიტიკისათვის. ცხადი იყო, რომ გიორგი III-ს ტაქტიკა — დიდებულების დევნა სახელმწიფო აღგილებიდან და მათ მაგივრად უგვარო მდაბიო პირთა წამოყენება — მუდმივ გაჭირვებას უქადიდა როგორც სამეფოს, ისე დინასტიის. მაგრამ, მეორეს მხრივ, თამარს როდი შეეძლო დაყრდნობოდა საქართველოს დიდებულთ, იმ დიდებულთ, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში დინასტიას ორგულობდენ. და რომელთაც მისი გაძლიერება თავისი წოდების პრივილეგიების დალუპვად მიაჩნდათ.

აი აქ გამოჩნდა დიადი პოლიტიკური სიბრძნე თამარ მეფისა. სომხის დიდგვარიან არისტოკრატიის დაწინაურებით ის ცდილობდა ქართველ დიდებულთა და შოშინებას და ამავე დროს თავისი ტახტის საქმის მოგებას. უპირველესი აღგილები საქართველოს სამეფოში მიეკა აჯანყების შემდეგ სომხის დიდგვარიან დიდებულთ, მაგალითად, მხარგრძელთ და გაეკლთ. ყველამ იცის, რომ საქართველოს სამეფოს ბედს თამარის დროს „და შემდეგაც განაგებდენ მხარგრძელნი — ტომით, მართალია, ქურთნი, მაგრამ უკვე კარგა ხანია გასომხებულნი და სარწუნოებითაც სომებ-გრიგორიანნი. ზაქარია მხარგრძელს საკვდილამდის ეჭირა ჯერ ამირსპასალარის თანამდებობა, ხოლო შემდეგ მანდატურთ-უხუცესის და ამირ სპასალარის ადგილი — ის იყო უპირველესი ხელისუფალი საქართველოს სამეფოში. ამ თავისი ბრძნული პოლიტიკით თანარჩა მოიგო ქართველ დიდებულთა გული: მათ დიდგვარიანობას არ ეჩოთირებოდა სომხის დიდ-

გვარიან პირთა გამგებლობა. მეორეს მხრივ, თამარს შეეძლო სრული ნდობით მოპყრობობა შის მიერ წამოყენებულ პირთ, ჩადგან მათ არაეთარი კავშირი არ ქონდათ დინასტიისთან მტრულ განწყობილებაში მყოფ ქართველ დიდებულებთან.

ამ გვარად დროებით შშვიდობა დამყარდა, მაგრამ ეს შშვიდობა იყო მხოლოდ გარეგნული. უკმაყოფილება კი-დევ ბუდობდა განსაკუთრებით იმ პროვინციებში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო სეპარატიზმის უინი—მაგალითად, ტაოკლარჯეთსა და დასავლეთ საქართველოში—ყოფილ აფხა-ზეთის სამეფოში ანუ იმერეთში. დასავლეთ საქართველოს დიდებულნი ყველაზე უფრო უმაღური იყვნენ ტფილისის მთავრობისა და მხოლოდ მომარჯვებულ დროს უცდიდენ, რომ კიდევ თავი წამოყენოთ. ეს დროც მაღე დადგა. პირველი ქმარი თამარ მეფისა — როგორც უნიბილია — იყო გიორგი რუ-სი, კაცი გარევნელი და ლოთი. თამარმა ვერ შეძლო მასთან ცხოვრება — მით უმეტეს რომ მემკვიდრეც არ უჩნდებოდათ, და გაეყარა მას. გიორგი რუსი წავიდა საბერძნეთს და იქიდან ცოტაოდენი ჯარით წამოვიდა საქართველოს ტახტის დასა-პყობლად და თამარის დასახელად. მან კარგად იცოდა იმ ქვეყნის ვითარება, საიდანაც ის განდევნილ იქნა, იცოდა, რომ ის კარგს დამბმარე ძალას პოებდა ქართველ უკმაყოფილო-ელემენტებს შორის. მართლაც შემოდგა თუ არა ფეხი გიორგი რუსმა საქართველოში, მთელი დასავლეთ საქართვე-ლოს დიდებულნი როგორც ერთი კაცი ფეხზედ დადგნენ. შეიყარეს დიდძალი ჯარი და გამოეძართეს თამარის წინააღმ-დეგ. დადიანთა და ბედიანთა წინამძღვრობით მათ გადაიარეს რეინის ჯვარი და ჩავიდნენ ციხისჯვარს, სამცხეს და დაწვეს ქილაჟი ოძრხე, სამცხეს. აქედან აჯანყებულნი გაემართნენ ჯავახეთის დასაპყრობლად, მაგრამ თამარმა დაახვედრა მათ თავი-სი ჯარი, რომელმაც სასტრიად დამარცხა იმერნი და გიორ-გი რუსი. ამ გვარად ეს აჯანყებაც დიდებულთა — ეხლა კერძოდ დასავლეთ საქართველოს დიდებულთა — გათავდა თამარის გამარ-

ჯვებით. დასავლეთ საქართველოს დიდებულთა აჯანყებათა მიზეზი ის იყო, რომ ისინი თავისს თავს კარგად ვერ გრძნობდენ გაერთიანებულ საქართველოს სამეფოში. მათთვის უფრო სანუკარი იყო ის დრო, როდესაც დავით ალმაშენებლის გამეფებამდის მეფე მათ ხელში იმყოფებოდა და მისი რეზიდენციაც ქუთაისში იყო. ისინი კარგად ვერ გრძნობდენ თავის იმიტომ, რომ ტფილისში ტახტის გადატანის შემდეგ ისინი თავისს თავს ბატონებად ვეღარ სთვლიდნენ. სახელმწიფო ცენტრალურ მართვა-გამგეობაში მათი ადგილი დაიკირა უცხო ტომის არისტოკრატიამ — და ეს იყო მიზეზი იმ ანტაგონიზმისა ტახტისა და დას. საქართველოს დიდებულთა შორის, რომელიც წითელ ლარსავით გამოსკვივის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთელს სიგრძეზედ თამარის მეფობისა.

ამ ახალ აჯანყების შემდეგ თამარმა ენერგიული ზომები მიიღო იმერეთის დიდებულთა წინააღმდეგ. მან წაართვა პრივილეგიები, რომელიც ქონდა აფხაზეთის სამეფოს არისტოკრატიას საქართველოს მეფის კარზედ. დაწვრილებით ამ აჯანყების შედეგის გამოანგარიშება ძნელია ცნობების უქონლობის გამო. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ თამარმა წაართვა იმერეთის დიდებულთ ის პრეროგატივები, რომელიც ქონდათ მათ, მაგალითად, მეფის გვირგვინის კურთხევის დროს.

უმთავრესი ღვაწლი თამარის მეფობისა არის ის, რომ მისი წინაპართა უდა — საქართველოში ცენტრალურ მართვა-გამგეობის დამყარებისა — ამ დროს კონკრეტულ სინამდვილეში ჩამოისხა. ის, რაც ვერ შესძლეს მე-ХII საუკ. მეფებმა ყივჩაღთა ჯარების საშვალებით, ის შესძლო თამარ მეფემ სომხის დიდევარიან დიდებულების შემწეობით: — მან ილაგმა ქართველ დიდებულთა წინააღმდეგობა, და საქართველოს შემადგენელი ნაწილები — აფხაზეთის სამეფო, ტაოკულარჯეთისა, კახეთისა და სომხეთის სამეფონი და ქართლის საერისთვო — გარდაქმნა ერთ საქართველოს სამეფოდ. პროვინციალური ავტონომიები დაუმორჩილა ერთ ცენტრალურ უფლებას და



ამ უფლების რეალური განხორციელება იყო ათაბაგობის დამოუკიდებლობის სება თამარის მიერ. ათაბაგის თანამდებობის შემოღებით თა-
მარს უნდოდა შეექნა ისეთი ცენტრალური ძალა, რომელსაც
უნდა შთავენთქა ქართველ ტომების პარტიკულარისტული
მისწრაფებანი. ათაბაგი გახდა უპირველესი ვეზირი მეფისა,
ფაქტიური გამგე სამეფოსი. ამ ახალ ფრიად დიდმნიშვნელო-
ვან თამამდებობაზედ თამარმა დანიშნა არა ქართველი დიდე-
ბული—ქართველ დიდებულთა წრეებს ის ვერ მიანდობდა
ასეთს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ მნიშვნელობის თანამ-
დებობას—არამედ ივანე მხარგრძელი—შთამომავლობით სომეხი.



ასე და ამ გვარად შესძლო თამარმა თავისი წინაპრების
პოლიტიკის დაგვირგვინება. მართალია, თამარის გამარჯვება
იყო არა სრული. როგორც ეხლა ირკვევა, ბოლოს და ბო-
ლოს მთავრობა მინც იძულებული გახდა ანგარიში გაეწია
დასავლეთ საქართველოს დიდებულთათვის. მათმა სეპარატი-
ზმა რეალურად თამარის დროს ვერაფელი ნაყოფი გამოიღო
პოლიტიკურ სფერაში, მაგრამ სამაგიეროდ მთავრობა იძულე-
ბული გახდა დაეთმო მათთვის ეკლესიურ საკითხში. სწორედ
ათაბაგობის დაარსების დროს თამარი იძულებული იყო დათანხმე-
ბულიყო იმერეთის ცალკე გამოყოფას აფხაზეთის საკათალიკოზოს
სახელით. ადმინისტრატიულ ცენტრალიზაციას მოყვა დეცენ-
ტრალიზაცია ეკლესიურ სფერაში. ამიერიდგან საქართველოს
ყავდა 2 კათალიკოზი—მცხეთისა და აფხაზეთისა. ეს განაწილება ეკ-
ლესიისა ფრიად სიმპტომატიური იყო, ვინაიდგან ის იყო წინა-
მორბედი საქართველოს პოლიტიკურად ორ სამეფოდ განყო-
ფისა. ეს განყოფა მოხდა ძლიერ მალე, მონგოლების შემო-
სევის დროს, შემდეგ 35 წლისა თამარის სიკვდილისა. 1245 წ.
საქართველო სამუდამოდ გაიყო ორ ნაწილად, იმერეთისა და
ამერეთის სამეფოდ და ამის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ერთ მეფის ბრძა-
ნების ქვეშ არც როდის გაერთიანებულა. ბაგრატიონთა და თამარ
მეფის ცდამ მტკიცე ერთ-მეფობის დამყარების შესახებ შესაფე-
რისი ნაყოფი ვერ გამოიღო, მთელი მრავალ წლოვანი შრომა თა-



მარ მეფისა—ნაყოფი მისი პოლიტიკურ სიბრძნისა— სილუსტიკურითისა
აშენებული გამოდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა თამარის მეფო-
ბას ჩვენს ისტორიაში უკირავს ისეთი ადგილი, როგორ არც ერთს
სხვა მეფისას, და ეს არა მისი ძლევა-მოსილ ომებისა გამო. თა-
მარს არც ყავდა ძლიერი გარეშე მტერი. ამ დროს მთელი მცი-
რე აზია და სპარსეთი დაყოფილი იყო პატარ-პატარა სამთავრო-
ებად, სელჯუკიდების იმპერია უკვე კარგა ხანი იყო რაც და-
ეცა—ამიტომაც ქართველთა ლაშქარი თავისუფლად დათარე-
შობდა მცირე აზიისა და სპარსეთის საზღვრებზედ. არა ამ თა-
რეშებმა და წვრილ წვრილ ომებმა მოუპოვეს სახელი და დი-
დება თამარ-მეფეს ქართველ ერის ხსოვნაში—არამედ მისმა
ბრძნულმა შინაურ პოლიტიკამ და შორს გამჭვრეტელობამ
შინაურ საქმეების მოგვარების დროს. თამარმა შექმნა პო-
ლიტიკურად ერთიანი და ძლიერი ქართველი ერი, ის ცდილო-
ბდა ცალკე ტომების პოლიტიკურ კონსოლიდაციას. და ეს იმი-
სი ცდა უნაყოფო იყო, და მისი შრომის ნაყოფი დაინგრა
35—40 წლის შედევე მისი სიკვდილისა და დაინგრა უწყალოდ
ქართველებისავე სეპარატისტულ მიდრევილების წყდობით, და-
ინგრა სამუდამოდ. მაგრამ ჩვენს ერს ახსოვდა სასოებით მთელ
სიგრძეზედ საშუალო საუკუნეებისა თავისი პოლიტიკურად
დაქსაქვის დროს ის ბრწყინვალე ხანა, როდესაც ცველა ტო-
მები პოლიტიკურად ერთ სამეფოდ გაერთიანებული იყვნენ
დიდის თამარის სეპტრის ქვეშ და ერთს ძლიერ ეროვნულ
ძალას წარმოადგენდნენ. საშუალო საუკუნეებში ჩვენი ერის
საუკეთესო შეილნი ხშირად ცდილობდნენ ჩვენი დაქუც-
მაცებულ სამშობლოს გაერთიანებას, მაგრამ უნაყოფოდ,
და ეს გრძნობა ეროვნულ ერთობისა და სიყვარულისა ყო-
ველ ქართველს—ქართლელს, კახელს, მეგრელს, იმერელს
და შორეულ აფხაზს—გადაქონდა შორეულ წარსულისაკენ.
თამარის დრო იყო ის დრო, როდესაც ეროვნული სული
ერთ საერთო პოლიტიკურ კალაპოტში დუღდა და თვით
თამარი იყო განპიროვნებული ემბლემა ქართველ ტომების



სოლიდარობისა. ამით აიხსნება ის იდეალიზაცია, რომელიც
თან დასდევს თამარ მეფის შერავინდედს ქართველ ხალხის
ხსოვნაში. ყველაფერი, რაც კი გაკეთებულა ქართულ კულტუ-
რულ საქმეში—ყველაფერი ეს ერმა მიაკუთვნა თავისს სათა-
ყანო მეფეს—განპიროვნებულ სიმბოლოს ქართველ ერის
ერთიანობისას და ქართველ ერის ძლიერებისას. ეკლესიები,
ციხე-კოშკები, ყველაფერი ხალხის ხსოვნით თამარის უშენებუ-
ლია. ჩვენს დიდებულ მწერლებს შოთას, სარგის თმოვველს
მოსე ხონელს აგრეთვე თამარის დროს უცხოვრიათ.
რა ვუყოთ, რომ ნამდვილად არც ყველა ეკლესიები და
ციხე კოშკები თამარის აშენებულია და არც მოთა, სარგის თმო-
ვველი და სხვა ჩვენი კლასიკებიც ცხოვრობდენ თამარის დროს,
არამედ სულ სხვა დროს. ერის ხსოვნა მაინც ყველა იმას,
რამაც კი შექმნა ჩვენი ეროვნული თავისებურობა და რაც თვით
არის ნაყოფი ამ ეროვნულ ინდივიდუალობისა—ყველა ამას
მიაწერს იმ პირს, რომლის სახე არის ცოცხალი სიმბოლო
მეცნიერისა და კახელისა, მესხისა და იმერელის, აფხაზის,
და ქართლელის და ყოველ ქართველ ტომის ეროვნულ
სოლიდარობისა და ძლიერებისა. ამიტომაც ქართველ ხალ-
ხს არა სჯერა თამარის სიკვდილი, როგორც ვერ დაიჯერებს
ის თავისს ეროვნულ უძლურებას, თავისი თავის სიკვდილს.
ამიტომ თამარი უკვდავია და მისი სახელი არ მოკვდება, სანამ-
დის ცოცხლობს ქართველი ერი და ღმერთმაც ნუ ქნას, რომ
მოკვდეს, რადგან ეს იქნებოდა დაკარგვა რწმენისა ჩვენი
ეროვნულ ძალისადმი, სიკვდილი ჩვენი ეროვნულ ერთია-
ნობისა.



70

n154/15

83 | 17 |

